

შპს „ოფის მიქსი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31
დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შინაარსი

ფინანსური ინფორმაცია:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოგება-ზარალის ანგარიშგება ფულადი

სახსრების მოძრაობა

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა 1

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა 2

შპს „ოფის მიქსი“ 401951456 ფორმა N1 ფინანსური მდგომარეობა

	31.12.2021	31.12.2020
	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
აქტივები		
ფულადი სახსრები	29 492	23 442
სავაჭრო მოთხოვნები	173 793	95 581
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	3 057	25 418
მარაგები		
- მზა პროდუქცია	157 927	174 827
- სხვა		
სხვა მიმდინარე აქტივები	897	2 574
ძირითადი საშუალებები		
- სხვა ძირითადი საშუალებები	7 589	9 486
- არამატერიალური აქტივები		
სულ აქტივები	372 755	331 328
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	174 180	120 597
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		
საგადასახადო ვალდებულებები		
გამოუმუშაებელ შემოსავალი	13 238	51 000
დარიცხული ხარჯები და სხვა გადავადებული შემოსავალი		
მესაკუთრეებისგან ნასესხები თანხები		
ბანკებისგან ნასესხები თანხები	21 560	
სხვა ვალდებულებები	15 363	1 499
სულ ვალდებულებები	224 331	171 597
საკუთარი კაპიტალი		
ბიოლოგიური აქტივების გადაფასების რეზერვი		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	148 424	158 232
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	148 424	159 731
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	372 755	331 328

შპს „ოფის მიქსი“ 401951456

ფორმა N2 შემოსავლების, ხარჯების და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	საანგარიშგებო პერიოდი 2021	საანგარიშგებო პერიოდი 2020
ნეტო ამონაგები	2 240 654	2 105 082
საქონლის გაყიდვიდან	2 240 654	2 105 082
მომსახურების გაწევიდან		
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1 710 095)	(1 572 899)
საწყისი მარაგები	174 827	145 051
მარაგების შესყიდვა	1 693 196	1 602 675
გადამუშავების დანახარჯები		-
საბოლოო მარაგები	157 927	174 827
საერთო მოგება	530 559	532 183
სხვა შემოსავალი	14 651	33 138
დასაქმებულთა ანაზღაურება	(164 789)	(143 530)
		(2 372)
ცვეთა/ამორტიზაცია	(1 897)	-
გაუფასურების ხარჯი		-
ფინანსური აქტივების გაუფასურება		
მარაგების გაუფასურება		
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურება		
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი	(2 820)	(2625)
სხვა ხარჯები	(64 332)	(48 377)
მოგება/ზარალი, მოგების გადასახადის ხარჯამდე	311 372	368 417
მოგების გადასახადი	(48 180)	(53 824)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	263 192	314 593

საწყისი გაუნაწილებელი მოგება:		
გადაანგარიშებული		
გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი (წინა წლის საბოლოო ნაშთი)	158 232	148 639
გასული პერიოდის შეცდომის გასწორების გავლენა		
გასული პერიოდის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების გავლენა		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(273 000)	(305 000)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი	148 424	158 232

შპს „ოფის მიქსი“ 401951456 ფორმა N3 ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2021	2020
	საანგარიშგებო პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	2 233 130	2 127 493
დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(164 789)	(143 530)
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(1 693 195)	(1 602 675)
სხვა	(67 153)	(51 002)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	307 993	330 286
გადახდილი მოგების გადასახადი	(48 180)	(53 824)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქ.	311 050	276 462
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის		
ფულადი სახსრების გასვლა სასოფლო-სამეურნეო საქ. გამოყენებ ბიო. აქტივების შეძენისა და გაუმჯ.		
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან		
ფულადი სახსრების შემოსვლა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ბიოლოგიური აქტივების გაყიდვიდან		
მიღებული პროცენტი		
მიღებული დივიდენდები		
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები		
საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განადგობიდან		
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან		
საკუთრების გადაცემის პირობის მქონე იჯარიდან წარმოქმნილი ვალდ. გადახდა		
სესხის ძირის გადახდა		
სესხის პროცენტის გადახდა	(273 000)	(305 000)
დივიდენდების გადახდა		
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(273 000)	(205 000)
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	(6 050)	(28 538)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	23 442	31 980
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	29 492	23 442

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ოფის მიქსი“ (შემდეგში „კომპანია“) დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში.

კომპანია დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის საქმიანობა არის საოფისე სახარჯი მასალების რეალიზაცია. შპს „ოფის მიქსი“ არ გააჩნია მეკავშირე და შვილობილი საწარმოები. კომპანიის დირექტორი არის არჩილ ბეჟუაშვილი, ხოლო მისი წილის მფლობელები არიან: არჩილ ბეჟუაშვილი, ნინო თაყაიშვილი, ნანა ახოზაძე და ნესტან სახელაშვილი.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომელიც გამოყენებულია ამ ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

2.1 ანგარიშგების მომზადების და წარგენის საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში „მსს ფასი“). ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დამატების საფუძველზე, რომ საწარმო

ფუნქციონირებს და თავის საქმიანობას უახლოეს საპროგნოზო მომვალშიც გააგრძელებს, არ აპირებს და არ საჭიროებს ლიკვიდაციას.

2.2 საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში-ლარში, რომელიც წარმოადგებს საანგარიშგებო ვალუტას. უცხოური ვალუტა აღიარებულია ოპერაციის განხორციელების თარიღით არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით. საკურსო სხვაობები აღიარებულია სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯში. 2.3 ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

2.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობ

თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულები არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.5 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.6 ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

ძირითადი აქტივები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში ასახულია საბალანსო ღირებულებით, თვითღირებულებას - დაგროვილი ცვეთა. ძირითადი საშუალებების თვითღირებულებ მოიცავს: მისი ნასყიდობის ფასს, ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და საშუალო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

2.7 არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამებს, ლიცენზიებს.

2.8 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.9 საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება.

2.10 ამონაგები

ამონაგები საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების აღიარება ხდება რეალური ღირებულებით დაბრუნებების, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

2.11 ხარჯი

არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯის აღიარება ხდება გაწევისთანავე, დარიცხვის პრინციპის შესაბამისად.

2.12 სახელფასო განაცემი

ხელფასები ექვემდებარება დარიცხვის იმავე პერიოდში რომელშიც თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული

2.13 დივიდენდის განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში რომელშიც ისი ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა

2.14 ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ , როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ ,როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებას ცვეთა ერიცხება ნაშთის შემცირებადი მეთოდის შესაბამისად.

2.15 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

2.16 მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდის გატანის სანაგარიშგებო თვეში. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) .

2.1 ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე ანგარიშები ბანკში	15 725	14290
ნაღდი ფული	13 767	9152
სულ	29 492	23442

2.2 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო მოთხოვნები	173 793	95582
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	0	0
	173 793	95582

2.3 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	31.12.2021	31.12.2020
სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	157 927	174827
სხვა	897	2574
სულ	158 824	177401

2.4 სავაჭრო ვალდებულებები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
--	------------------------	------------------------

სავაჭრო ვალდებულებები	174 180	120597
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	15363	1499
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	0
სხვა ვალდებულებები	13238	51000
სულ	202781	173096

2.5 ხარჯი

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
რპთ	1 710 095	1572899
დასაქმებულთა ანაზღაურება	164 789	143530
ცვეთა და ამორტიზაცია	0	0
საპროცენტო ხარჯი	2 820	2625
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	64 332	48377
სულ	1 942 036	1767431

2.6 ამონაგები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ნეტო ამონაგები	2 240 654	2105082
სხვა შემოსავალი	14 651	33138
სულ	2 255305	2138220

